წარმოსადგენი დოკუმენტები

1. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ინდ. მეწარმის შემთხვევაში).
2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
3. უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. ამონაწერ(ებ)ი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან უძრავი ქონების შესახებ, რომელიც არის პოტენციური ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული ან/და მას მიღებული აქვს სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტის ორგანოსგან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან იჯარით/აღნაგობის უფლებით (იჯარის/აღნაგობის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს სააგენტოში განაცხადის შემოტანის მომენტისთვის არანაკლებ 10 წელს, იჯარის/აღნაგობის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში), რომელსაც არ უნდა ედოს ყადაღა ან/და იპოთეკა (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების იპოთეკა, მხოლოდ ამ პროგრამაში მონაწილეობის მიზნით დამტკიცებული სესხისთვის).

   შენიშვნა: უძრავი ქონების თანასაკუთრების შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს თანამესაკუთრ(ეებ)ის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა უძრავი ქონების პროგრამის ფარგლებში გამოყენების შესახებ.
5. თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი/ხელშეკრულება საფინანსო ინსტიტუტიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და სესხის/ლიზინგის დამტკიცების თაობაზე ან/და თანამონაწილეობის ალტერნატიული წყაროს დამადასტურებელი დოკუმენტი (მიღებული/მისაღები საგრანტო დაფინანსება).
6. შესაძენ საქონელზე/მომსახურებაზე იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის მიერ პოტენციური ბენეფიციარისთვის გამოწერილი ინვოისი ან/და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ქართულ ენაზე (იმპორტის შემთხვევაში, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი).

7. ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ ან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტი სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ან მისი გადახდის ვალდებულების შესაბამისი კანონის საფუძველზე შეჩერების შესახებ.
8. საბანკო რეკვიზიტები.
9. სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.